

შეცდომების გასწორება

1. შეცდომაა "ყველაზე უმნიშვნელოვანესი", უნდა იყოს "უმნიშვნელოვანესი", რადგან ეს ზედსართავი სახელი უკვე უფროობით ხარისხშია.
2. შეცდომაა ჩიფ-ჩიფი, უნდა იყოს ჩიფჩიფი, რადგან ეს ფუძეგაორკეცებული კომპოზიცია, რომლის ნაწილები მნიშვნელობასმოკლებული მარცვლებია და დეფისი არ სჭირდება.
3. შეცდომაა "იმ ადამიანებმა, ვინც ეს ჩაიდინეს...", უნდა იყოს "იმ ადამიანებმა, რომლებმაც ეს ჩაიდინეს...", რადგან ეს რთული ქვეწყობილი წინადადებაა, რომლის დამოკიდებული წინადადება განსაზღვრებითია და მოგვივებს კითხვაზე "რომელი ადამიანები? და არა "ვინ ადამიანები?", ამიტომ კავშირიც უნდა იყოს "რომლებიც".
4. "ჩვენ მათ გაგვაკეთებინეს გრძელი და რთული ტექსტი".
5. შეცდომაა "ჩვენ თანამშრომლობთ, უნდა იყოს "ჩვენ ვთანამშრომლობთ, რადგან როცა ზმნას I სუბიექტური პირი ეწყობა, მისი ნიშავი ვ ყოველთვის დაერთვის (თქვენ თანამშრომლობთ, მაგრამ ჩვენ ვთანამშრომლობთ).
6. ეს პუბლიცისტური ტექსტია.
7. შეცდომაა გადამათარგმნიე, უნდა იყოს გადამათარგმნინე. ზმნას აკლია შუალობითი კონტაქტის ნიშანი ინ.
8. შეცდომაა "მასიურ მიტინგზე", უნდა იყოს "მასობრივ მიტინგზე". ამ სიტყვათა აღრევა პარონიმული შეცდომაა. მასიური მოცულობას აღნიშნავს, ხოლო მასობრივი – ხალხმრავალს.
9. შეცდომაა "მამა გიორგი თავის სანიმუშო მრევლით...", უნდა იყოს "თავისი სანიმუშო მრევლით", რადგან მრევლით მოქმედებით ბრუნვაში დგას და მასთან შეწყობილ ნაცვალსახელს სახელობითის სიშანი ი სჭირდება.
10. "დროშები, დროშები, დროშები – ჩქარა!". აქ დეფისი აუცილებელია, რადგან ზმნა გამოტოვებულია და მხოლოდ იგულისხმება.
11. შეცდომაა ჩემსკენ, უნდა იყოს ჩემკენ, რადგან თანდებულდართულ კუთვნილებით ნაცვალსახელს მიცემით ბრუნვაში ბრუნვის ნიშანი ს არ დაერთვის.
12. ეს ტექსტი მხატვრულია.

13. ხანაგა მიუსაფართა თავშესაფარია.
14. ბაგრატ კუტაპალატი ხანძთელი ბერების ცხოვრების წესმა გააკვირვა.
15. ამ კონტექსტში სიტყვა მალხაზი ზედსართავი სახელია.